

# ინვესტიციები საქართველოს განათლების სისტემაში, გამოწვევები, სრულყოფის გზები

*ჯანელიძე ნათელა – ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო*

## Investments, Challenges and Ways to Improvement in Education System of Georgia

*Janelidze Natela – Assistant Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia*

### Abstract

**Introduction and aim:** In the XXI century the education system face of major and important challenges. Nowadays when you're in the middle of the revolution, globalization, computerization, the Internet, information flows, all of these have a vital role. This is a new era and this era of wealth creation is the source of knowledge and information. In these terms of education teaching / learning research is gaining an importance and is quite newsweathy.

**Research methodology:** In the research we applied methods of abstraction, analysis-synthesis, theoretical.

**Results and implications:** In the modern world the first place is determined by the quality of human capital, the level of education, knowledge and the separate practical usage, innovative activities of economy. The last two decades now, the upgrade of world's economic development role in the development of science is noticed. In Georgia investment in educational system increase every year, also the researches at the national level as well as at the international one.

**Conclusion:** Especially the most important is the natural resources such as a qualified education, the mental capacity, the effective use of intellectual capital for a not-so-rich, small size population country. Mental potential, establishment of intellectual capital and its effective use cause the rise of education quality and knowledge. Knowledge makes the economic transformation.

**Keywords:** investments, education, research, budget, qualified workers

### აბსტრაქტი

**მესავალი და მიზანი:** XXI საუკუნეში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს განათლების სისტემა. დღეს როცა რევოლუციის შუაგულში ვიმყოფებით: გლობალიზაცია, კომპიუტერიზაცია, ინტერნეტქსელი, ინფორმაციული ნაკადები, ყოველივე ამან სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. ეს ახალი ერაა და ამ ერაში სიმდიდრის შექმნის წყაროს ცოდნა და ინფორმაცია წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განათლების სწავლა/სწავლების კვლევა, მათში განხორციელებული ინვესტიციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და აქტუალურია.

**კვლევის მეთოდოლოგია:** კვლევაში გამოყენებულია: თეორიული, ჰიპოთეზური და სინთეზურ-ანალიზური მეთოდები.

**შედეგები და გამოყენება:** თანამედროვე მსოფლიოში სახელმწიფოს ადგილი უპირველესად განისაზღვრება ადამიანური კაპიტალის ხარისხით, განათლების დონით, ცოდნიერებით და ცალკეული პრაქტიკული გამოყენებითა და ეკონომიკის ინოვაციური აქტივობით. ბოლო ორ ათეულ წელზე მეტია, მსოფლიოს ეკონომიკური განვითარების პროცესში აღინიშნება მეცნიერების როლის განვითარების აღმავლობა. საქართველოში ყოველ წელს იზრდება როგორც ინვესტიციები განათლების სისტემაში, აგრეთვე კვლევები როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დონეზე.

**დასკვნა:** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსებით როგორც არც თუ ისე მდიდარი, სიდიდით და მოსახლეობის რიცხოვნებით მცირე ქვეყნისათვის კვალიფიციური განათლება. გონებრივი პოტენციალის,

ინტელექტუალური კაპიტალის ჩამოყალიბება და ეფექტური გამოყენება იწვევს განათლების ხარისხის ზრდას, ცოდნას. ცოდნა ახდენს ეკონომიკის ტრანსფორმაციას.

**საკვანძო სიტყვები:** ინვესტიციები, განათლება, კვლევა, ბიუჯეტი, კვალიფიციური მუშახელი

მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენები ბოლო ორი ათწლეულია აჩვენებს, რომ უპირატესობა მოიპოვა ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებულმა პროცესებმა, რომლის მთავარი მამოძრავებელი ძალა არის ადამიანი. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაზარებული იაპონიის ეკონომიკის აღდგენის ერთ-ერთი ფაქტორი იყო განათლებაში ინვესტირება, რამაც დიდი წვლილი შეიტანა იაპონური სასწაულის აღმოცენებაში.

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ეკონომიკის განვითარებაზე. ეკონომიკის განვითარების დონის შეფასებისათვის გაეროს ექსპერტების მიერ მიღებულია კომპლექსური მაჩვენებელი - ადამიანის განვითარების ინდექსი- HDI (Human Development Index), რომელიც ძირითადად სამი კერძო მაჩვენებლის (მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და განათლების დონე) მიხედვით გაიანგარიშება. ქვეყნები, სადაც HDI კოეფიციენტი 0,5-ზე ნაკლებია, მიჩნეულია დაბალგანვითარებულად, 0,5-დან 0,8-მდე-საშუალო განვითარებულად, ხოლო 0,8 და ზემოთ-მაღალგანვითარებულად. ამ თვალსაზრისით საქართველო საშუალო პოზიციას იკავებს.

XXI საუკუნეში მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას საქართველოს განათლების სისტემა. დღეს როცა რევოლუციის შუაგულში ვიმყოფებით: გლობალიზაცია, კომპიუტერიზაცია, ინტერნეტისეული, ინფორმაციული ნაკადები, ყოველივე ამან სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა. ეს ახალი ერაა და ამ ერაში სიმდიდრის შექმნის წყაროს ცოდნა და ინფორმაცია წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განათლების სწავლა/სწავლების კვლევა, მათში განხორციელებული ინვესტიციები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და აქტუალურია.

საქართველოში განათლება ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგად არის გამოცხადებული და წლიდან-წლამდე იზრდება ინვესტიციები განათლების სისტემაში, აგრეთვე ტარდება სხვადასხვა კვლევები როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო დონეზე. მაგალითად 2015 წელს ხარჯები განათლებაზე შეადგენდა - 899 645,6 ათას ლარს, 2016 წელს - 1 056 066 ათას ლარს, 2017 წელს - 1 187 950 ათას ლარს, რაც 2015 წლის ბიუჯეტი დაახლოებით - 11%-ს, 2016 წელს ბიუჯეტის დაახლოებით- 12%-ს, 2017 წელს ბიუჯეტის დაახლოებით 13%-ს შეადგენს. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ხარჯები განათლების სფეროში იყოფა: ზოგადი განათლება (საშუალო ზოგადი განათლება), პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება (უმაღლესი პროფესიული განათლება, უმაღლესი აკადემიური განათლება), უმაღლესისშემდგომი განათლება, განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება, გამოყენებითი კვლევები განათლების სფეროში, სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში. ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ზოგადი განათლება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გათვალისწინებული ხარჯების 50%-ს შეადგენს ყოველწლიურად და რიგით მეორე მაჩვენებელს, უმაღლეს განათლებას დაახლოებით 4-ჯერ აღემატება.

იმდენად მრავალწახნაგოვანი და რთულია ეს სფერო, თითქმის შეუძლებელია განათლების სისტემის სრული გამართვა, თუმცა იდეალურისაკენ სწრაფვა სასურველი და შესაძლებელია. განათლების დაფინანსების მხრივ მნიშვნელოვანი სისტემური ნაბიჯი 2004 წელს გადაიდგა, როდესაც მოხდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ერთი მოსწავლის დაფინანსებაზე გადასვლა. იგივე პრინციპი ამუშავდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებენ ის სტუდენტები, რომლებიც საუკეთესო შედეგს აჩვენებენ ერთიან ეროვნულ გამოცდაზე. პროგრამული დაფინანსების მიღებაზე სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი რვა უმაღლესი დაწესებულებაა გამოყოფილი, მათგან: 7 მიმართულება ბაკალავრის 21 სპეციალობით (აგრონომია, ვეტერინარია, მეცხოველეობა, სასურსათო ტექნოლოგია, სატყეო საქმე, განათლების მეცნიერებები, მასწავლებლის განათლება, საინჟინრო ფიზიკა, ენერგეტიკა და ელექტრო ინჟინერია, მშენებლობა, აგრო ინჟინერია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, ეკონომიკა, ისტორია, ფილოლოგია, ფილოსოფია, არქიტექტურა, არქეოლოგია), სულ 5653 ადგილი. მიუხედავად სახელმწიფოს მხრიდან მნიშვნელოვანი სტიმულირებისა, აბიტურიენტების მხრიდან მოთხოვნა შეთავაზებულ სპეციალობებზე შედარებით დაბალია. ლიდერ პოზიციებს იკავებს: ბიზნესის ადმინისტრირება, სამართალი, მედიცინა და ა.შ. სამწუხაროდ ქვეყანაში მნიშვნელოვნად დაბალი მოთხოვნაა ისეთ ფუნდამენტურ მეცნიერებებზე როგორცაა: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. ამ თვალსაზრისით განვითარებულ მსოფლიოს მნიშვნელოვნად ჩამოვრჩებით. სამწუხაროდ აკადემიური მოსწრება ხშირ შემთხვევაში უფასო ფაკულტეტებზე საკმაოდ დაბალია, რაც განპირობებულია დაბალი ბარიერით ერთიან ეროვნულ გამოცდებზე. სწორედ ამ და სხვა პრობლემების გამო, განათლების სამინისტრო, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მეშვეობით 2009 წლიდან ჩაერთულია საერთაშორისო კვლევებში.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის OECD მიერ განათლების, როგორც ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის კვლევაზე მუშაობა 1997 წელს დაიწყო და კვლევის პირველი ციკლი 2000 წელს განხორციელდა. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA-ში მონაწილეობას იღებენ როგორც ორგანიზაციის წევრი ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნები, ისე პარტნიორი ქვეყნები და ადმინისტრაციული ერთეულები, რომელთა ერთობლივი ძალისხმევითაც კვლევა უფრო და უფრო მნიშვნელოვანი და საინტერესო ხდება როგორც პოლიტიკის განმსაზღვრელებისათვის, ისე მკვლევარებისთვის და საზოგადოებისთვის. ფოკუსირება ხდება არა სკოლაში მიღებულ ცოდნაზე, არამედ აფასებს მოსწავლეების უნარს იაზროვნოს და რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებთან დაკავშირებით გამოიყენენ მიღებული ცოდნა და გამოცდილება.

ამ დროისათვის ქვეყანა უკვე მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო კვლევაში - წიგნიერების კვლევა PIRLS, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კვლევა TIMSS, მათემატიკის მომავალი მასწავლებლების კვლევა TEDS-M. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევები საინტერესო მონაცემების გაანალიზების საშუალებას იძლეოდა, PISA-მ კიდევ უფრო მეტად გააღრმავა ჩვენი შესაძლებლობები კომპლექსურად შეგვეხედა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემისათვის, გავვეანალიზებინა, რა შედეგებს იძლევა სავალდებულო განათლება ზოგადად და რამდენად უზრუნველყოფს მოსწავლეებს იმ ცოდნით, უნარებითა და დამოკიდებულებებით, რომლებიც თანამედროვე გარემოში წარმატებული ფუნქციონირებისათვისაა აუცილებელი.

წიგნიერებაში უმნიშვნელოვანესი უნარებია წერილობითი მასალის წაკითხვის შემდეგ მისი ინტერპრეტაცია, მნიშვნელობის გააზრება და ტექსტის თავისებურებების გაგება. მათემატიკაში გაცი-

ლებით მნიშვნელოვანია ადამიანს შეეძლოს რაოდენობრივად აზროვნება და ურთიერთკავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებების განსაზღვრა, ვიდრე უნარი უპასუხოს სახელმძღვანელოში დასმულ შეკითხვებს. საბუნებისმეტყველო საგნებში სპეციფიკური ცოდნის ქონა, როგორცაა, მაგალითად, მცენარეებისა და ცხოველების სახელწოდებები, ნაკლებად ფასეულია, ვიდრე ადამიანის უნარი ესმოდეს ისეთი გლობალური მნიშვნელობის საკითხები, როგორებიცაა ენერჯის მოხმარება, ბიომრავალფეროვნება და ჯანმრთელობა, რასაც თანამედროვე მსოფლიოში კაცობრიობის განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

საქართველოს მოსწავლეების მიერ PISA-ს სამივე სფეროში- წიგნიერებაში, მათემატიკასა და საბუნების მეტყველო საგნებში - მიღწეული შედეგები სტატისტიკურად OECD ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია. მაგალითად წიგნიერებაში მოსწავლეთა საშუალო ქულა 374 მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება PISA-ს საერთაშორისო საშუალო ქულას, რომელიც წიგნიერებაში 493-ია. ამ მონაცემებით საქართველოს შედეგები მსგავსია ყატარის, პერუსა და პანამის მოსწავლეების მიღწევებისა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა დაახლოებით 38%-ის კითხვის უნარი იმ მინიმალურ ან მინიმალურზე დაბალ დონეს შეესაბამება, რომელიც საჭიროა კითხვის ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებისათვის. შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ გოგონებსა და ბიჭებს შორის კითხვის უნარების ფლობის მხრივ საგრძნობი სხვაობაა და გოგონების საშუალო ქულა (405) მნიშვნელოვნად აღემატება ბიჭების საშუალო ქულას (344).რაც შეეხება მათემატიკას, აქ საქართველოს მოსწავლეების საშუალო ქულამ 379 შეადგინა, რაც ასევე მნიშვნელოვნად დაბალია საერთაშორისო საშუალოზე (496). მოსწავლეთა დაახლოებით 31% მინიმალურ ან მინიმალურზე დაბალ მოთხოვნებს აკმაყოფილებს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ აქვთ მინიმალური ცოდნა და უნარები, რაც მათ საშუალებას მისცემთ სამომავლოდ მათემატიკა ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოიყენონ. რაც შეეხება გოგონებსა და ბიჭებს შორის სხვაობა არ იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. საბუნებისმეტყველო საგნებში ქართველი მოსწავლეების საშუალო ქულაა 373, რაც სხვა სფეროს მსგავსად სტატისტიკურად მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო საშუალო ქულას (501). ამ სფეროში მოსწავლეთა დაახლოებით 34% ავლენს იმ ელემენტარულ საბაზო ცოდნას, რომელიც მინიმალურ ან მინიმალურზე დაბალ საფეხურს შეესაბამება. კითხვის მსგავსად გოგონების მიღწევა სტატისტიკურად 19 ერთეულით აღემატება ბიჭების მიღწევებს. კვლევის სამივე სფეროში საგრძნობი განსხვავებაა ქალაქსა და სოფელში მაცხოვრებელი მოსწავლეების მიღწევებში, გარდა ამისა საკმაოდ განსხვავებულია კერძო და საჯარო სკოლების მოსწავლეების შედეგებით, რაც მიუთითებს სოციო-ეკონომიკური ფაქტორების მნიშვნელობასა და ხელმისაწვდომობის მხრივ არსებულ პრობლემებზე, რომელთა გამო მოსწავლეთა დიდი ნაწილი ხარისხიანი და ადეკვატური განათლების მიღების შესაძლებლობასაა მოკლებული. 2015 წელს 2007-2011 წლების შედეგებთან შედარებით ქართველმა მოსწავლეებმა TIMSS-ის გააუმჯობესეს როგორც მათემატიკაში (მე-4, მე-8 კლასები), ასევე ბუნებისმეტყველებაში (მე-8 კლასი; მე-4 კლასში შედეგები არ შეცვლილა). პოზიტიური ტენდენციის მიუხედავად, ქართველ მოსწავლეთა შედეგები საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელზე დაბალი რჩება. მიღწევების მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიას კვლავ ლიდერობენ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (სინგაპური, ჰონკონგი, სამხრეთ კორეა, ტაივანი და იაპონია). საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაციისა და ბოსტონ კოლეჯის საერთაშორისო კვლევების ცენტრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ პრესლერიზში აღნიშნულია, რომ გენდერული ნიშნით მოსწავლეთა მიღწევებს შორის სხვაობა მცირდება. სწორედ ეს კვლევები ცხადყოფს ფუნდამენტალურ მეცნიერებებზე დაბალ მოთხოვნას.

ამ მიმართულებით შედეგების მისაღწევად სახელმწიფო ინვესტიცია მხოლოდ უფასო სახელმძღვანელოებში, ინფრასტრუქტურის განვითარებაში და კომპიუტერიზაციაში საკმარისი არ არის. ჩვენი აზრით სახელმწიფომ განსაკუთრებული ინვესტირება უნდა მოახდინოს კვალიფიციური კადრების მომზადებაში, უკვე არსებულის გადამზადებაში და ახალი სპეციალისტების ჩამოყალიბებაში და სასწავლო პროგრამების უწყვეტ განვითარებაში, როგორც საშუალო ისე უმაღლეს რგოლში.

სწავლებისა და სწავლის საერთაშორისო კვლევა (TALIS) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის კვლევა (OECD), რომელიც აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე, 140 მილიონი აშშ დოლარის, კომპაქტის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. TALIS 2008 წლიდან ხორციელდება. 2013 წლიდან კვლევას შეუერთდა საქართველო.

საინტერესოა რა მდგომარეობაა სწავლების და სწავლის საერთაშორის მაჩვენებლების მიხედვით მასწავლებელთა საქმიანობის კვლევაში?

ქართველ მასწავლებლებში საკუთარი ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებელი TALIS-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. ქართველი მასწავლებლების თვითშეფასების მაჩვენებელი რუმინეთის გამოკლებით აღემატება აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყნისას და სჭარბობს ისეთ წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემების მასწავლებლებს, როგორცაა: ფინეთი, სინგაპური, ჰოლანდია და კანადა. ეს თვითშეფასებაა, რომელიც არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი მოსწავლეთა სხვადასხვა კრიტერიუმებით შეფასების დაბალი მაჩვენებლების გამო.

საქართველოში ყოველ 7 მოსწავლეზე 1 მასწავლებელი მოდის, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება TALIS-ის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს (12:1). ეს ვითარება დიდწილად სკოლების გეოგრაფიული განაწილებითაა განპირობებული. რაც დიდ წილად ართულებს მასწავლებელთა გადამზადების, ტრენინგებში მონაწილეობის, მენტორებთან ურთიერთობის პროცესს და ზრდის სახელმწიფო ხარჯვებს.

სასკოლო საქმიანობასა და სწავლებაზე დახარჯული დრო TALIS-ში მონაწილე თითქმის ყველა ქვეყნის მაჩვენებელზე დაბალია: TALIS-ის ქვეყნებში სულ სასკოლო საქმიანობაზე დახარჯული დროის საშუალო არის 44 საათი კვირაში, სწავლებაზე 23 საათი; საქართველოში კი-33 და 18 სთ.

საქართველოში საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებლების საშუალო ასაკი 48 წელია. მათგან 30 წლამდე პედაგოგების წილი ქართულის მასწავლებლებს შორის არის 4%, მათემატიკის მასწავლებლებს შორის არის-3%, ხოლო საბუნებისმეტყველო საგნების პედაგოგებს შორის-2%. კვლევაში მონაწილე სხვა ქვეყნებში მასწავლებლების საშუალო ასაკი 43 წელია, რაც 5 წლისთ ნაკლებია საქართველოს მაჩვენებელზე. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყანა არის იმათ შორის სადაც მასწავლებლის პროფესიაში ქალები დომინირებენ.

საქართველოში მასწავლებლების უდიდესი ნაწილი (60%) არ ეთანხმება იმას, რომ საზოგადოებაში მასწავლებლის პროფესია დაფასებულია. განათლების და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ჯეჯელავას კვლევის შედეგად, ახალგაზრდა 10 სერთიფიცირებული მასწავლებლიდან 8 ფიქრობს იმუშაოს სკოლაში სანამ ახალ სამსახურს არ იშოვის. რაც კიდევ ერთი დამაფიქრებელი ფაქტია სისტემის გონივრული და ეფექტური მუშაობისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბუნებრივი რესურსები როგორც არც თუ ისე მდიდარი, სიდიდით და მოსახლეობის რიცხოვნებით მცირე ქვეყნისათვის კვალიფიციური განათლება. გონებრივი პოტენციალის, ინტელექტუალური კაპიტალის ჩამოყალიბება, სტიმულირება და ეფექტური გამოყენება იწვევს განათლების ხარისხის ზრდას, ცოდნას. ცოდნა ახდენს ეკონომიკის ტრანსფორმაციას.

გამოყენებული წყაროები:

1. <http://naec.ge/#/ge/post/1524>
2. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3495562>
3. [http://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pisa\\_report\\_2009.pdf](http://naec.ge/uploads/images/doc/SXVA/pisa_report_2009.pdf)
4. <https://edu.aris.ge/news/2017-wlis-ufaso-fakultetebi-damtkicda-mxolod-erti-axali-fakultetia-damatebuli.html>